

მთავარეპისკოპოსი სტეფანე

მას-მედია თანამედროვე მსოფლიოში

მას მედიის რაობა

მას-მედიას ანუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წარმოადგენს ბეჭდვითი გამოცემები, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, კინო, რეკლამა, მსოფლიო ქსელში ჩართული მობილური ტელეფონები, რომელნიც ახდენენ ინფორმაციის სისტემატურ გავრცელებას მრავალრიცხოვან და დაშორიშორებულ აუდიტორიაში.

მას-მედია წარმოიშვა ბეჭდვითი პრესის დაბადებასთან ერთად XIX ს-ში. მისი შემდგომი განვითარება განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა.

მას-მედიის სპეციფიური თავისებურებებია:

- ურთიერთობაში მყოფ მხარეთა კონტაქტების არაპირდაპირი ხასიათი;
- უკუკავშირის თავისებურება;
- სხვადასხვაგვარ აუდიტორიაზე ერთდროული ზემოქმედება;
- ინფორმაციის გადაცემის სისწილე და რეგულარულობა;
- შეტყობინების შინაარსის უნივერსალურობა სტერეოტიპიზაციის ელემენტებით;
- მრავალგვარი ტექნიკური შესაძლებლობის, აგრეთვე ინფორმაციის მომპოვებელ, გადამამუშავებელ და გამავრცელებელ სპეციალურ ორგანიზაციათა გამოყენება.

თანამედროვე ეტაპზე მას-მედია მოიცავს უახლესი ტექნოლოგიების ფართო სპექტრს – კომპიუტერების, ვიდეოსაშუალებების, თანამგზავრული ტელევიზიისა და ინტერნეტის ჩათვლით.¹

მათი გავლენა ადამიანებსა და საზოგადოებაზე წარმოუდგენლად დიდია.

¹ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი, თბ., ლოგოს პრესი, 2004, გვ. 351.

მას მედიის წარმოქმნისა და განვითარების ობიექტური გარდუვალობა

მას-მედიის წარმოქმნა და განვითარება ობიექტური პროცესია. მას შემდეგ, რაც ტექნიკურად შესაძლებელი გახდა აზრების ტირაჟირება, ამ პროცესის განვითარება გარდაუვალი გახდა. ამან გამოიწვია მრავალი დადებითი და უფრო მეტი უარყოფითი პროცესი, როგორც თითოეულ ადამიანში ისე, ზოგადად, საზოგადოებაში.

მას-მედიის დადებითი თვისებები

დადებითი ის არის რომ, ადამიანი:

- ეცნობა სხვადასხვა ერის კულტურასა და ხელოვნებას;
- ადვილად ღებულობს თავისთვის საინტერესო ინფორმაციას;
- აქვს საშუალება საჯაროდ გამოხატოს თავისი აზრი;
- აქვს საშუალება თვალყური ადევნოს მიმდინარე პროცესებს;
- შეუძლია გაუზიაროს თავისი აზრი სხვა ადამიანებს და მიიღოს მათგან პასუხი და გამოსმაურება;
- როცა მედია-საშუალება ზნეობრივად გამართულია, შეუძლია მიიღოს მრავალი ზნეობრივი მაგალითი და შეიმეცნოს მრავალი სასიკეთო ინფორმაცია, მიიღოს ცოდნა სხვადასხვა საკითხში და პრაქტიკული რჩევები.

თუმცა ყოველივე ეს დადებითია მხოლოდ მაშინ, როცა მას-მედია ემსახურება ჭეშმარიტებასა და მაღალ ზნეობრივ ღირებულებებს.

ტექნიკა, თავისთავად, არც დადებითია და არც უარყოფითი. დადებითი ან უარყოფითი შეიძლება იყონ ის ადამიანები, ვინც იყენებს ამ ტექნიკას. და როცა ტექნიკა უზარმაზარ შესაძლებლობებს აძლევს ადამიანს, როცა მას შეუძლია მილიონობით ადამიანს მოუტანოს სიკეთე ან, პირიქით, მილიონობით ადამიანი დააზიანოს და, ხშირ შემთხვევაში, დაღუპოს კიდევ, ვინც იყენებს მას-მედიის საშუალებებს ვალდებულება დაფიქრდეს, რას აკეთებს და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდოს იმ შესაძლებლობებს, რაც მას ეძლევა ხელთ.

სიტყუათა შენთავან განჰმართლდე და სიტყუათა შენთავან დაისაჯო (მთ. 12; 37)

სიტყვას, ძალზედ დიდი ფასი აქვს, მით უფრო სიტყვას, რომელიც ვრცელდება დაუბრკოლებლად მილიონობით ადამიანში. მით უფრო, როცა გამოსახულებაც თან ახლავს. რას ქადაგებ, რას წარმოაჩენ მილიონების წინაშე,

რა ღირებულებებს უნერგავ აუდიტორიას, ნუთუ არ უნდა დაფიქრდეს ადამიანი, როცა ასეთი პასუხისმგებლობის წინაშე დგას.

ქრისტიანულ ეკლესიას დიდი ხანია გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ყოველი ადამიანი თავისი სიტყვებით გამართლება და თავისივე სიტყვებით დაისჯება და ყოველი სიტყვა, არა მხოლოდ უკეთურად თქმული, არამედ ამოდ თქმულიც კი, სასჯელად დაედება ადამიანს (მთ. 12; 36). ღმერთმა მისცა ადამიანს უდიდესი რამ, მეტყველებისა და შემოქმედების უნარი, ოღონდ ამ უნარების გამოყენებას თავისი წესი აქვს. უფალი გვაფრთხილებს, რა მიმართულებით არ უნდა გამოვიყენოთ ისინი, რომ არ დავზიანდეთ და არ დავაზიანოთ სხვები:

„გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა, რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყვანი ბოროტნი, კაცის-კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა“ (მთ. 15; 18-20).

ახლა გადავხედოთ იმ ცოდვებს, რომლებსაც ჩამოგვითვლის უფალი, რომელი მათგანის ტირაჟირება არ ხდება მედია-სივრცეში. სწორედ „გულის-სიტყვანი ბოროტნი, კაცის-კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი“ წარმოადგენენ მილიონობით ადამიანისთვის მიწოდებულ სულიერ „საკვებს“. ამ სიბინძურით კვებავენ ჩვენს საზოგადოებას, მავანნი თავგამოდებით იცავენ ამ „უფლებას“ კვებონ ადამიანები ნაგვითა და სიბინძურით.

„კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისწყმა-ყო; ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფს. 48; 13).

მოვეუსმინოთ წმიდა მამებს:

წმ. იოანე ოქროპირი: „როგორც ქარიშხალი ააღელვებს ზღვას ფსკერამდე, ისე რომ სილა ერევა ტალღებს, ასეა ვნებებიც. შემოიჭრებიან რა სულში, აყირავენ მას თავიდან ბოლომდე, აბრმავენ და ართმევენ აზროვნების უნარს.“

წმ. ისიდორე პელუსიელი: „ქვენა გრძნობებს დამონებული ადამიანი მხედარს ჰგავს, რომელიც გადმოვარდა გაქანებული ეტლიდან და აღკაზმულობაში გახლართული მიხობავს მიწაზე ცხენის ნებაზე.“

წმ. ეფრემ ასური: „საშინელია ჩვევად ქცეული ვნება. ის თითქოს-და დაუძლეველი ბორკილებით ატყვევებს გონებას და ეს ბორკილები ადამიანს სასურველად ეჩვენება.“

წმ. იოანე სინელი: „ვნებებს მიცემული სული, ვერ შესძლებს რაიმე დიდებულის შეცნობას“.

წმ. იოანე კასიანე: „ვნებები ანგრევენ როგორც სულს, ისე სხეულს“.

წმ. იოანე ოქროპირი: „არაფერი ისე არ ართმევს ადამიანს თავისუფლებას, როგორც... მიჩვევა ყველაფრისადმი, რაც მასში სიამოვნებას იწვევს. ასეთი ადამიანი ემონება არა თუ ერთს, ან ორს, ან სამ ბატონს, არამედ უამრავს“.

წმ. ისაია: „ყველა ვნება, თუ მას მიუშვებ, მოქმედებს, იზრდება და ძლიერდება, ბოლოს კი იპყრობს სულს, მოიცავს მას და აკარგვინებს ღმერთს“.

ქრისტიანული ანთროპოლოგიით ღმერთი მოქმედებს ადამიანზე მისი სულის მეშვეობით. საღმრთო მადლი მოიცავს სულს, სული განანათლებს სამშენიველს, სამშენიველი განანათლებს ადამიანის ცნობიერსა და არაცნობიერს და ამით სხეულსაც. ცოდვით დაცემის შედეგად, ადამიანის სული უხეშდება, ვეღარ ითვისებს მადლს, უფრო სამშენიველისკენ მიიღრიკება და ადამიანი სხეულის პრიმიტიული იმპულსებით იწყებს ცხოვრებას, ვნებებში ეძებს სიამოვნებას.

ასეთ მდგომარეობაზე ამბობს წმ. დავით წინასწარმეტყველი: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ჰყო. ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“.

როცა სული წყდება ღმერთს და ვნებების მოძალებით იბრმავებს და თიშავს გონებას, იგი უგუნურ პირუტყვს ბაძავს ამით და საბოლოო ჯამში ემსგავსება მას.

„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაჲ ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქულის ქვაჲ ვირით საფუქველი და შთავარდა ზღუასა“ (მკ. 9; 41-42).

კაცობრიობის ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც ადამიანი ცოდვის მონობაში ექცევა ცხოველური სიამოვნების მიღების სურვილია. სწორედ ამ სურვილით შეპყრობილ ადამიანთა გუნდები ავსებენ ფილტვების კიბოთი, ღვიძლის ციროზით, შიდსით და მრავალ სხვა ავდამყოფობით დაავადებულ ადამიანთა არმიას. ეს სურვილი მრავალ ადამიანს უარს ათქმევინებს საღ აზრზე, აღზრდაზე, თვითგადარჩენის ინსტინქტზეც კი. ეს სურვილი ანგრევს ოჯახებს, სამსახურეობრივ კარიერას, ურთიერთობებს, ჯანმრთელობას, სიცოცხლესაც კი. ამას ემატება ახალი ტიპის დაავადება, რომელიც გაჩნდა სწორედ მას-მედის განვითარების შედეგად – ინფორმაციული

ნერვოზი, როცა ადამიანი ვეღარ იტევს მოზღვავებულ ინფორმაციას და ნერვული აშლილობები ეწყება.

სტატისტიკის მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ ტელეეთერის 90% დაკავებულია მკვლევობებით, კატასტროფებით, სკანდალებით, ძალადობით, მრუმობითა და სიძვით, ლანძღა-გინებით, უზნეო საუბრებით,, უკეთური ცხოვრების წესის პროპაგანდით აფეთქებებით, სროლით, ხანძრებით, მსხვერპლისა და ზარალის დათვლით და სხვა ნეგატიური ინფორმაციით.

გამოკვლევების თანახმად, ძალადობის შემცველი გადაცემებისა და ფილმების ზემოქმედების შედეგად ჩადენილია ძალადობის ფაქტების 15-20%.

დადგენილია, რომ იმ ახალგაზრდათა 20% ვინც აქტიურად უყურებდა ტელევიზორს 14 წლის ასაკამდე, მზადაა ჩაიდინოს ნებისმიერი დანაშაული.

აშშ-ში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ მსჯავრდებულთა 63% დანაშაული ჩაიდინა სატელევიზიო „გმირების“ მიბაძვით, ხოლო მათმა 22% სატელევიზიო გადაცემების ყურების შედეგად შეისწავლა და გამოიყენა „საქმეში“ სხვადასხვა დანაშაულის „ტექნოლოგია“.

საინფორმაციო განუკითხაობით ყველაზე მძიმედ ზარალდება მოზარდი თაობა.

რა შეიძლება დაუპირისპიროს ადამიანმა თვითგანადგურებისკენ მიმართულ ამ წამლკეკავ ნაკადს?

პასუხისმგებლობა მას-მედისის, ანუ ყველაზე მძლავრი იარაღის, შეძლებისდაგვარად, უსაფრთხო გამოყენებაზე, რათა იგი ჩავიყენოთ სამსახურში და არ ვაქციოთ თვითგანადგურების იარაღად თვითოველ ადამიანს და ამავე დროს ყველას, მთელს საზოგადოებას გვეკისრება, პირველ რიგში კი სახელმწიფოს და მედია-საშუალებების მფლობელებს. თუმცა არც ჟურნალისტებს ეხსნება პასუხისმგებლობა, როგორც პირადად მის მიერ მომზადებულ მასალაზე, ისე იმ ზიანის მომტან მასალაზე, რომელიც შეეძლო გაეპროტესტებინა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

არც სახელმწიფომ, არც საზოგადოებამ, არც ჟურნალისტებმა და არც ცალკეულმა პიროვნებებმა არ უნდა გაამართლონ საინფორმაციო საშუალებებით გადმონთხეული სიბინძურე და სიბილწე გამოხატვის თავისუფლების აუცილებლობით. როცა უამრავი ადამიანი, პრაქტიკულად ყველა, ზიანდება ამგვარი არასწორად გაგებული „თავისუფლებით“, ნუთუ არ უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენს მიერ არასწორად გამოყენებული ტექნიკის მსხვერპლი ვხდებით მილიონობით ადამიანი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხვდებიან რა დიდი ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანებს უკონტროლოდ, ურეგულაციოდ გამოყენებულმა საინფორმაციო საშუალებებმა. მრავალ ქვეყანაში შეიქმნა და ფართოდ ინერგება მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დამცავი კანონმდებლობა, რომელშიც მთავარი ადგილი, სწორედ მავნე საინფორმაციო შეტყვისგან მოზარდის დაცვას უკავია.

საქართველოშიც, თითქოს არსებობს ასეთი კანონმდებლობა, მაგრამ იმდენად უკბილო და არაეფექტური, რომ საერთოდ ვერაფერს ვერ გრძნობს მის არსებობას. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ რიხით აცხადებს:

„აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას“ (მუხლი 38; 1).

ამის შემდეგ ჩამოთვლილი უნდა იყოს ის ზომები, რომლებიც უნდა ანხორციელებდნენ ამ მუხლის მიერ მითითებულ აკრძალვას, მაგრამ, სამწუხაროდ იქვე სთავაზობს გზებს, რათა ეს აკრძალვა არ შესრულდეს. ყველა დარღვევის გამართლება შეიძლება „საზოგადოებრივი ინტერესის არსებობით“, ან „შესაბამისი კონტექსტით“, ან „სარედაქციო დასაბუთებით“². თუ შევეცდებით დავადგინოთ, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება მაუწყებლებს ზემოთ აღნიშნული მუხლის დარღვევისათვის კანონმდებლობით, აღმოვაჩინოთ, რომ არავითარი.

სამაგიეროდ, დიდი ხმაურით ცდილობენ უზნეობის დაცვას, და თანაც უზნეობის სახელით. ეს ამბავი ცინიზმამდეა მისული იმდენად, რომ ე.წ. ეთიკის ნორმების „დამცველი“ ორგანიზაციები ეთიკის დაცვის მოწოდებით აიძულებენ ჟურნალისტებს გაჩუმებას უზნეობის წინაშე და არა მხოლოდ გაჩუმებას, არამედ პირიქით – უზნეობის პროპაგანდას.

აი მაგალითიც: „13 თებერვალს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გამართა შეხვედრა, რომელზეც მთავარი თემა იყო მედიის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ, ანუ რამდენად იცავს მედია ეთიკურ ნორმებს არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებთან მიმართებაში. შეხვედრას საკმაოდ ბევრი ჟურნალისტი ესწრებოდა და მათ აქტიურად მიიღეს მონაწილეობა დისკუსიაში. მთავარი მომხსენებელი, ცნობილი მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე და მეცხრე არხის ყოფილი პროდიუსერი ირაკლი აბსანძე იყვნენ.

² http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=6986

აბსანძემ გაიხსენა საინტერესო ფაქტი, რომელიც რესტორან „სლავიანკასთან“ მომხდარ მკვლელობას ეხებოდა. 28 წლის მამაკაცი, არასრულწლოვან ბიჭთან ორალური სექსის გამო, 53 წლის მამაკაცი მოკლა. აბსანძის განცხადებით, მედიასაშუალებებმა ისე გაავრცელეს ეს შემთხვევა, რომ გარდაცვლილის ოჯახს ზიანი მიაყენეს, რადგან ჟურნალისტებმა სპეციალურად ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მამაკაცი თავის არატრადიციულ ორიენტაციას შეეწირა და ერთგვარად გაამართლეს მკვლელის ქმედება. აბსანძის აზრით, მსგავსი შემთხვევები ხელს უწყობს ხალხში აგრესიის განვითარებას სექსუალური უმცირესობების მიმართ.

მედიაექსპერტმა ზვიად ქორიძემ ასევე გააკრიტიკა მედიის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და თქვა, რომ ხშირად მედია არის ინიციატორი სტერეოტიპების ჩამოყალიბების. ზვიად ქორიძემ მოიყვანა ტელეკომპანია „იმედის“ ტელეწამყვანის მაგალითი, როდესაც მათ პირდაპირ ეთერში ელტონ ჯონზე და მის მეგობარ მამაკაცზე ირონიული განცხადება გააკეთეს. ქორიძის აზრით, ასეთი დამოკიდებულება არასწორია და ჰომოფობიას ანვითარებს საზოგადოებაში. მან გააკრიტიკა ტელეკომპანია „იმედიც“, რომელმაც უფლება მისცა წამყვანს გამოეთქვა არაეთიკური აზრი პირდაპირ ეთერში.

თამარ კორძიამ განაცხადა, რომ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აუცილებლად გაავრძელებს მსგავს შეხვედრებს ეთიკურ თემებთან დაკავშირებით.“³

რა არის ეთიკა? ინტერნეტის დადებითი მხარე გამოვიყენოთ და ჩავიხედოთ ლექსიკონში: „ეთიკა ([ბერძნ. ἠθικόν](#), [ქვ. ბერძნ. ἠθικός](#)-დან – [ეთოსი](#), „ზნე“) – ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ.“

რამდენად იცავს „ეთიკის ქარტია“ ეთიკის, ანუ ზნეობის ნორმებს თავად განსაჯეთ. ეს მაგალითი მხოლოდ ზღვაში წვეთია იმ უზნეობის ნაკადში, რომელსაც თავს ახვევენ საზოგადოებას, თავისუფლების ღოზუნგს ამოფარებული ვნებებს დამონებული უზნეობის პროპაგანდისტები.

ჩვენი აზრით, საჭიროა ამ საკითხს მეტი სერიოზულობით მოეკიდოს ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოება. კარგი იქნება თუ ამ საკითხებთან დაკავშირებით მოეწეობა საყოველთაო განხილვა და იქნება მიღებული ისეთი კანონები, რომელიც დაიცავს საზოგადოებას უზნეობისა და სიბინძურისგან და ამავე დროს მისცემს ყოველ ადამიანს საშუალებას თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. როგორ შეიძლება სიბილწე და უხამსობა, ძალადობა და

³ <http://newscafe.ge/ge/portal/society/423/>

დანაშაული პროპაგანდის ელემენტად ვაქციოთ და ამას გამოსატვის თავისუფლება ვუწოდოთ.

მედიის მიერ ეთიკისა და მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის აუცილებლობაზე მუდამ მიუთითებს ჩვენი ეკლესია. ამაზე მეტყველებს უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის არაერთი ეპისტოლე თუ ქადაგება, მღვდელმთავართა და მოძღვართა ქადაგებები, წმიდა სინოდის განჩინებები.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ინიციატივით ჩამოყალიბდა „კოალიცია ზნეობრივი საქართველოსთვის“, რომელიც აქტიურად ცდილობს საქართველოს კანონმდებლობაში უზნეობისა და ძალადობის საწინააღმდეგო ნორმების ჩადებასა და მათ ამოქმედებას, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკა სხვა მიმართულებით იყო მიმართული და ამ საკითხებზე სერიოზულ მსჯელობას გაურბოდა.

იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში, როცა გაცილებით მეტია თავისუფლების ხარისხი, ჩვენი საზოგადოება მოახერხებს მას-მედიით უხამსობისა და ძალადობის პროპაგანდის დამანგრეველ შედეგების აღმოფხვრას და უფრო აქტიურად დაიცავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს.